

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პლატფორმა
თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის

წესდება

თავი I

სახელწოდება და მიზანი

მუხლი 1.1 სახელწოდება

ქართულად: „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“
ინგლისურად: Partnership for Budget Transparency

მუხლი 1.2 მიზანი

პლატფორმის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანება საჯარო ფინანსების მართვისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის მისაღწევად.

მუხლი 1.3 ამოცანები

1. საჯარო ფინანსების მართვის მონიტორინგისა და რეფორმის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებული ჩართულობის ხელშეწყობა.
2. საკანონმდებლო და მარეგულირებელი მიმართულებით ადვოკატირება საჯარო ფინანსების მართვისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.
3. პლატფორმის წევრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და პლატფორმის ფარგლებში პარტნიორებს შორის აქტივობების დუბლირების თავიდან აცილება.

მუხლი 1.4 პლატფორმის საწევრო გადასახადი

პლატფორმის წევრებს არ მოეთხოვებათ საწევრო გადასახადის გადახდა, რათა გახდნენ პლატფორმის სრულფასოვანი წევრები, ან შემდგომში შეინარჩუნონ წევრობა. მმართველი კომიტეტის წევრები და პლატფორმის ხელმძღვანელი პირები პლატფორმისთვის გაწეულ სამსახურში ფინანსურ კომპენსაციას არ მიიღებენ.

თავი II

წევრობა

მუხლი 2.1 წევრობის წინაპირობები

1. პლატფორმის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი

არასამთავრობო ორგანიზაცია და მედია საშუალება, რომელიც მხარს უჭერს და იზიარებს პლატფორმის მიზნებს და ამოცანებს, გამოხატავს მზაობას პლატფორმის სხვა წევრებთან თანამშრომლობაზე პლატფორმის საერთო მიზნების მისაღწევად, აქვს მკვეთრად გამოხატული ინტერესი ან/და სათანადო გამოცდილება საჯარო ფინანსების მართვის და სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგის სფეროში.

2. პლატფორმა მისი არსებობის მანძილზე ღიაა ახალი წევრებისთვის. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა წერილობით უნდა მიმართონ პლატფორმის დამფუძნებელ წევრებს ან შემდგომში მმართველ კომიტეტს, პლატფორმის მიერ შემუშავებული პროცედურების და ვადების დაცვით. გაწევრიანების განაცხადებზე გადაწყვეტილება მიიღება 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დამფუძნებელ წევრთა ან მმართველი კომიტეტის უმრავლესობით.

მუხლი 2.2 პლატფორმიდან გარიცხვა

1. პლატფორმის წევრი, მმართველი კომიტეტის ან/და პლატფორმის წევრთა არანაკლებ 1/5-ის ინიციატივით, შეიძლება გარიცხულ იქნას პლატფორმიდან იმ შემთხვევაში, თუ იგი არღვევს პლატფორმის მარეგულირებელ დებულებებს, უგულებელყოფს პლატფორმის ინტერესებს, არ მონაწილეობს პლატფორმის ღონისძიებებში და მისი მიზნების რეალიზაციაში, უგულებელყოფს პლატფორმის ძირითად მიზნებს ან/და უპატივცემულოდ ეპყრობა პლატფორმის რეპუტაციას და მის წევრებს.

2. პლატფორმის წევრის გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პლატფორმის მმართველი კომიტეტი, მთლიანი შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

მუხლი 2.3 პლატფორმიდან გასვლა

პლატფორმის წევრს უფლება აქვს დატოვოს პლატფორმა თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რის თაობაზეც წერილობით აცნობებს მმართველ კომიტეტს და მდივანს.

მუხლი 2.4 პლატფორმის შეხვედრები

1. პლატფორმის წევრთა შეხვედრა გაიმართება წელიწადში ორჯერ. სამდივნოს ან მმართველი კომიტეტის უმრავლესობის ინიციატივით, შესაძლებელია მოწვეულ იქნას რიგგარეშე შეხვედრა, პლატფორმის წევრთა ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტით წინასწარ შეტყობინების საფუძველზე.

2. შეხვედრებზე პლატფორმის წევრს, ყოველგვარი მინდობილობის გარეშე, წარმოადგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენელი, სათანადო წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე.

3. პლატფორმის წევრთა შეხვედრა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა მაინც.

4. პლატფორმის წევრთა შეხვედრაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

5. პლატფორმის წევრთა შეხვედრას უძღვება მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე ან სამდივნო.

თავი III

მმართველი კომიტეტის უფლებამოსილებები

მუხლი 3.1 რაოდენობა, შერჩევა, გამოწვევა

1. მმართველი კომიტეტი შედგება პლატფორმის წევრი 7 (შვიდი) ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან (თითო ორგანიზაციიდან თითო წარმომადგენელი), რომლებიც აირჩევიან ერთი წლის ვადით. მმართველი კომიტეტის წევრების უფლებამოსილება გრძელდება ვადის გასვლის შემდეგაც, მმართველი კომიტეტის ახალი წევრების არჩევამდე. მმართველი კომიტეტის წევრებს ირჩევენ პლატფორმის წევრების შეხვედრაზე, ფარული კენჭისყრით, წელიწადში ერთხელ. მმართველი კომიტეტის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

2. მმართველი კომიტეტი წარმოადგენს პლატფორმას სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში, მათ შორის შეხვედრების ორგანიზების გზით.

მუხლი 3.2 მმართველი კომიტეტის სხდომა

1. მმართველი კომიტეტი იკრიბება კვარტალურად. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის ან სამდივნოს ინიციატივით, შესაძლებელია მოწვეულ იქნას რიგგარეშე სხდომა, მმართველი კომიტეტის წევრთა ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტით წინასწარ შეტყობინებით.

2. მმართველი კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

3. მმართველი კომიტეტის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

4. მმართველი კომიტეტის სხდომას უძღვება თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე.

მუხლი 3.3 პლატფორმის წევრების დასწრება მმართველი კომიტეტის შეხვედრებზე

მმართველი კომიტეტის სხდომები, როგორც წესი, ღიაა პლატფორმის ნებისმიერი წევრისათვის. სხდომაზე დამსწრე პლატფორმის წევრს უფლება აქვს, აზრი გამოთქვას განსახილველ საკითხზე, მაგრამ მონაწილეობას ვერ იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მუხლი 3.4 სამუშაო ჯგუფები

1. პლატფორმის ფარგლებში შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფები თემატური ნიშნით ან/და პრობლემატური საკითხების ირგვლივ.

2. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს მმართველი კომიტეტი.

თავი IV

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებები

მუხლი 4.1 ხელმძღვანელი პირები

პლატფორმის ხელმძღვანელი პირები არიან: თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. კონკრეტული მიმართულებების კოორდინაციის უფლებამოსილებები შეიძლება მიენიჭოს მმართველი კომიტეტის მიერ დანიშნულ სხვა კომპეტენტურ პირებსაც.

მუხლი 4.2 ხელმძღვანელი პირების არჩევა

1. პლატფორმის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით ირჩევს მმართველი კომიტეტი ერთი წლის ვადით. თავმჯდომარედ და თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

მუხლი 4.3 სამდივნო

1. პლატფორმის შექმნიდან მინიმუმ 2 წლის მანძილზე პლატფორმის სამდივნოს ფუნქციას შეითავსებს ევროპის ფონდი. სამდივნოს ფუნქციის შესრულება არ გამოორიცხავს თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესაძლებლობას.

მუხლი 4.4 გადადგომა

პლატფორმის ხელმძღვანელ პირებს უფლება აქვთ, გადადგნენ დაკავებული პოზიციებიდან პირადი განცხადების საფუძველზე, რის თაობაზეც წერილობით აცნობებენ მმართველ კომიტეტს.

მუხლი 4.5 თავმჯდომარე

1. პლატფორმის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, სამდივნოსთან ერთად ახორციელებს პლატფორმის ზოგად ხელმძღვანელობას და კოორდინაციას, პლატფორმის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

2. თავმჯდომარე არის პლატფორმის წარმომადგენელი საჯარო ურთიერთობებში და მას აქვს უფლება, გააკეთოს საჯარო განცხადებები მასობრივი მედიის საშუალებებში პლატფორმის საქმიანობაზე და მომავალ გეგმებზე.

მუხლი 4.6 თავმჯდომარის მოადგილე

თავმჯდომარის მოადგილე ახორციელებს თავმჯდომარის ყველა უფლებამოსილებას თავმჯდომარის არყოფნის ან მისი თხოვნის შემთხვევაში.

თავი V

გარდამავალი დებულებები

მმართველი კომიტეტის პირველი არჩევნების პროცედურებს ახორციელებს ევროპის ფონდი. დგება ხმის დამთვლელი სამკაცია კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი ევროპის ფონდის წარმომადგენელია.

თავი VI

სხვადასხვა

მუხლი 6.1 შესწორებები

1. წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ ენაზე და დამტკიცებულია პლატფორმის წევრთა მიერ ერთხმად.
2. წინამდებარე წესდებაში ნებისმიერი ცვლილების და დამატების შეტანა შესაძლებელია პლატფორმის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

** წესდება მიღებული იქნა პლატფორმის წევრების მიერ ერთხმად, 2015 წლის 18 მარტს.*

*** წესდების განახლება მოხდა პლატფორმის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით (9/14), 2017 წლის 4 ივლისს.*